პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა. 22 მარტი 1925 წ. — წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 62 (750) — 1 და 2 კ.მ.დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა — ტელ. 2—2[4]

განცხ.-დების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განც ხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

# ამხ. ნარიმან ნარიმანოვის ხსოვნას.

## კვლავ დიდი დანაკლისი.

კიდევ ერთი დიდი დანაკლისი.

კომუნისტური პარტიის რიგებს ულმობელმა სიკვდილმა გამოგვლიჯა კიდევ ერთი თვალსაჩინო წევრი, აზერბეიჯანის მშრომელთა ხალხის ერთი ბელადთაგანი ამხ. ნარიმან ნარიმანოვი. ოცდაათ წელზე მეტი ემსახურა ამხ. ნარიმანოვი მშრომელთა ხალხის ინტერესებს. რევოლიუციონურ ბრძოლასთან ერთად მარქსიზმის დროშის ქვეშ ის ეწეოდა საზოგადოებრივ—კულტურულ მოღვაწეობასაც.

მთელი მისი არსება მუდამ აღსავსე იყო მშრომელთა სიყვარულით. მას საუცხოვოდ ესმოდა თავისი ხალხის გასაჭირი. მან იცოდა აგრეთვე ისიც, რომ აზერბეიჯანის გლეხის განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მუშებთან კავშირში და პროლეტარული რევოლიუციის საშუალებით. ამიტომ ის მთელი თავისი არსებით ებრძოდა თვითმპყრობელობას და გაბატონებულ კლასებს. ბევრი დევნა და ტანჯვა გადაიტანა მან თავის გზაზე; ციხე, გადასახლება—მუდამ მისი თანამგზავრი იყო, მაგრამ მისი გული ერთხელაც არ შედრკულა და წითელი რევოლიუციონური დროშა მუდამ მაღლა ფრიალებდა მის ხელში. სწორედ ასეთი უანგარო სამსახურისათვის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ მან დაიმსახურა უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა აზერბეიჯანის მუშების და გლეხების ფართო ფენებში. იშვიათად შეხვდებით ისეთ თურქს, რომელმაც არ იცოდეს ამხ. ნარიმანოვის სახელი. ოცდაათი წელი ემსახურა ამხ. ნარიმანოვმა პროლეტარული რევოლიუციის და დაჩაგრულთა განთავისუფლების საქმეს.

მან შესწირა ამ საქმეს ყველაფერი საუკეთესო რაც მას გააჩნდა და დაბოლოს თვით სიცოცხლეც.

ისეთ მომენტში, როცა მთელი საბჭოთა კავშირი ჩაბმულია აღმშენებლობით მუშაობაში, როცა თავისუფალი მუშურ-გლეხური აზერბეიჯანი გამოვიდა განვითარების და აღორძინე ის ფართე გზაზე, ამხ. ნარიმანოვის სიკვდილი უდიდესი დანაკლისია არა მარტო აზერბეიჯანის, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მუშებისა და გლეხებისათვის. თავისი მრავალწლოვანი გამოცდილებით და გამჭრიახი ჭკუით ის კიდევ გაუწევდა დიდ სამსახურს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების და მისი ფლიო რევოლიუციის განვითარების საქმეს.

მაგრამ დაუღალავმა მუშაობამ, ოცდაათი წლის შეუდრეკელ რევოლიუციონურ ბრძოლამ მოშალა მისი ჯანმრთელობა, დაავადა ის და კიდეც მოუღო ბოლო.

მოკვდა ამხ. ნარიმანოვი. კომუნისტურ პარტიის ძველი გვარდიის ფოლად რიგებს მოაკლდა კიდევ ერთი წევრი. მაგრამ მის ადგილზე მოვა არა ერთი და ორი არამედ, ასი და ათასი. ამხ. ნარიმანოვის სახელი არას დროს არ ამოიშლება მშრომელთა ხალხის ხსოვნაში. მისი სიკვდილი ავალებს მუშებს და გლეხებს უფრო მჭიდროთ შეაკავშირონ თავისი რიგები და მტკიცედ განაგრძონ კომპარტიის ხელმძღვანელობით ის საქმე, რომელსაც ემსახურებოდა ამხ. ნარიმანოვი და რომელსაც შესწირა სიცოცხლე.

## აზერბეიჯანელი მუშაკები ნარიმან ნარიმანოვის შესახებ.

აღამალი ოღლიმ განაცხადა:

„ძნელია თანამედროვე ადამიანის მუშაობის შეფასება, განსაკუთრებით ისეთი მუშაობის, რომელშიაც თვით მონაწილეობდა. ამხ. ნარიმანოვი მტკიცედ იდგა ჩვენს რიგებში.

ნარიმანოვი უთუოდ დიდი რევოლიუციონერი იყო თიურქების ინტელიგენციიდან, რომლის მუშაობა ღრმად მიმდინარეობდა თურქების მასებში.

ნარიმანოვის სიკვდილი მოულოდნელი იყო. ადერბეიჯანის კულტურულ ამოცანებს ის დიდ მნიშვნელობას აძლევდა. საკმაო დროს ახმარდა ლიტერატურულ მუშაობასაც. 30 წლის განმავლობაში ლიტერატურული მოღვაწეობით მან დასტოვა მრავალი ძვირფასი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოები, რომლებიც გამსჭვალულია საზოგადოებრივი მოტოვებით.

მას კარგად იცნობს თურქთა მასა.



ამხ. ნარიმანოვი.

ეფენდიევმა განაცხადა:

„ამხ. ნარიმანოვი ახალგაზრდა გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ბაქოში მან დაიწყო მუშაობა თიურქული ბიბლიოთეკა—სამკითხველოს მოწყობით, რომლის გარშემო თავი მოიყარა ინტელიგენციამ. ამ ინტილიგენციამ ფართედ გაუღო კულტურის კარები ბაქოს დემოკრატიულ მასებს.

ეს არ მოეწონა მუსულმანურ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას. დახურულ იქნა ბიბლიოთეკა და ამხ. ნარიმანოვს ბევრი დაცინვები ხვდა წილად.

ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ლიდერი ტოპჩიბაშევი არც კი კადრულობდა ნარიმანოვის ხელის ჩამორთმევას.

ნაკლები თავმოყვარეობა უკარნახებს ნარიმანოვს მიიღოს უმაღლესი განათლება, ის უკვე 40 წლის აბარებს გამოცდებს სიმწიფის მოწმობაზე და შედის ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში. მაგრამ ნარიმანოვის წინააღმდეგ მტრობა არა განათლებაში იყო, არამედ მას საფუძვლად ჰქონდა ღრმა სოციალური პირობები. მშრომელმა ხალხმა, რომელსაც ის ისე ერთგულად ემსახურებოდა და შესწირა მთელი თავისი ძალა და ცოდნა, თავისად სცნო ის. კომუნისტურ პარტიის რიგებში ის იბრძოდა ჩვენთან ერთად გამარჯვებამდი."

ყარაევმა განაცხადა:

„არავინ ჩვენგანი არ მოელოდა ამას. ნარიმანოვის ასე უცაბედათ გარდაცვალებას. ეს ერთი უდიდესი ადამიანი იყო ადერბეიჯანიდან, რომელმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ბურჟუაზიულ — მონარქისტულ წესწყობილების დამცველ ბურჟუაზიას.

დღეს შეგვიძლია ჩვენ ვუთხრათ მის ცხედარს: „იძინე მშვიდად ძვირფასო მეგობარო. ადერბეიჯანის განთავისუფლებული მშრომელები არ დაგივიწყებენ შენ!"

მუსაბეკოვმა განაცხადა:

„ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარის გარდაცვალება დიდი დანაკლისია საბჭოთა კავშირისათვის, განსაკუთრებით თიურქებისათვის. ნარიმანოვი დიდხანს მუშაობდა მათ შორის, იცოდა მათი ფსიქოლოგია და ყოფა—ცხოვრება და სწორედ გამოსთქვამდა მათ განწყობილებას.

არა მარტო თიურქები იცნობდენ და პატივს სცემდენ ნარიმანოვს, ის იყო ჭეშმარიტი დამცველი მთელი ამიერ—კავკასიის მშრომელთა მასების.

ის გარდაიცვალა, მაგრამ რევოლიუციის თესლი, რომელიც მან გადაისროლა აღმოსავლეთში, უსათუოდ დიდ ნაყოფს მოუტანს აღმოსავლეთის ხალხების ძმურ კავშირს."

## ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება.

### ამხ. ნარიმანოვის დასაფლავების დღე გამოცხადებულია სამგლოვიარო დღეთ.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა:

ამხ. ნარიმანოვის დასაფლავების დღე გამოცხადებულ იქნას სამგლოვიარო დღეთ. ამ დღეს იხურება ყველა გასართობი დაწესებულებები. დასაფლავება მოხდება მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან. 5 წუთის განმავლობაში დასაფლავების დროს ჩამოშვებულ იქნება დროშები დაწესებულებათა შენობებზე.

დროშების ჩამოშვების დრო დანამდვილებით გამოცხადებულ იქნება განსაკუთრებით.

## საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სამგლოვიარო სხდომა.

20 მარტს მოხდა საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სამგლოვიარო სხდომა ამხ. ნარიმანოვის გარდაცვალების გამო. ამხ. ენუქიძემ განაცხადა შემდეგი:

„19 მარტს, 20 საათსა და 30 წუთზე გულის სიდამბლით უცაბედათ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ნარიმანოვი. ის ფეხით მოდიოდა სახლში კრემლიდან. ქუჩაში მან ცუდათ იგრძნო თავი. სასწრაფოდ წაიყვანეს კრემლის საავადმყოფოში, მაგრამ გზაში გარდაიცვალა".

შემდეგ ამხ. ენუქიძემ დაახასიათა ნარიმანოვის რევოლიუციონური ღვაწლი.

ამხ. კალინინმა აღნიშნა დიდი დანაკლისი ამხ. ნარიმანოვის გარდაცვალებით, რომელიც ცოცხალი კავშირი იყო ცენტრსა და ამიერ-კავკასიის ფედერაციას შორის.

პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება შემდგარ იქნას დასაფლავების მომწყობი კომისია.

## პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს თანაგრძნობა.

ამხ. ნარიმანოვის გარდაცვალების გამო მოხდა პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომა. სხდომამ დაადგინა გლოვის ნიშნად შესწყვიტოს მუშაობა, როგორც პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში, ისე პროფკავშირთა ცეკაში. ამხ. დოგადოვს მიენდო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გამოუცხადოს თანაგრძნობა საბჭოთა კავშირის ცაკს და გარდაცვალებულის ოჯახს.

## საკავშირო ცაკს.

**(ასლი ამიერ-კავკასიის და აზერბეიჯანის ცაკებს, ბაქოს საბჭოს და განსვენებულის ოჯახს.)**

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო, საკავშირო ცაკის თავმჯდომარის ამხ. ნარიმან ნარიმანოვის უეცარი გარდაცვალების გაგებისთანავე, მთელი კავშირის მშრომელებთან ერთად გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას რევოლიუციის გამბედავი მებრძოლის დაკარგვის გამო.

ამხ. ნარიმანოვის სახით რესპუბლიკათა კავშირმა და კერძოდ აზერბეიჯანის მუშებმა და ღარიბესმა გლეხებმა დაკარგეს ოქტომბრის რევოლიუციის ერთი მედგარი მებრძოლთაგანი.

თანდათან მცირდება ძველ მებრძოლთა რიგები. მაგრამ ამ მწუხარების ჟამს ჩვენ უფრო მჭიდროთ შევკავშირდებით ეკონომიურ და პოლიტიკურ ფრონტებზე ახალ გამარჯვებათა მისაღწევად.

**საუკუნო რევოლიუციონური ხსენება ძველ მებრძოლს.**

**ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე**

**ლ. სუხიშვილი.**

# ახალი რადიო-ამბები

## კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

21 მარტს საღამოს გაიხსნა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის სხდომა. პლენუმის მუშაობა გაგრძელდება ორი კვირა.

## ამხ. კრასინი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

გაზ. „ჟურნალის“ თანამშრომელთან საუბარში კრასინმა განაცხადა, რომ წარსული კვლავ მძიმე გავლენას ახდენს მეგობრულ ურთიერთობაზე საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

მაგალითად, ვრანგელისეული ფლოტის საკითხი მეტად აღელვებს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ აზრს.

ვალების საკითხის გარშემო კრასინმა აღნიშნა აუცილებლობა მეფის ვალთა ცნობისა და განაცხადა, რომ საჭიროა ღათმობითი გზის გამოძებნა, რომელიც პირველყოვლისა უზრუნველყოფს წვრილ მესაკუთრეთა ინტერესებს.

## შემთანხმებელთა ბანაკში

შრომის კონფედერაციის ეროვნული კომიტეტის სესიამ პროფმოძრაობის მთლიანობის გარშემო გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია „კონფერენცია გაფრთხილებას აძლევს ორივე კონფერენციის (რეფორმისტულისა და უნიტარულის) კონგრესის მოწყობის წინააღმდეგ.“

## საფრანგეთის პალატა ნდობას უცხადებს ერიოს.

პალატამ დაასრულა კამათი კარდინალების შეკითხვის შესახებ და 327 ხმით 95-ს წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა ერიოს.

## ძველი ვალების გარშემო.

### ოთხი კატეგორია.

რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა აღმასკომის მუდმივმა ბიურომ (საფრანგეთში) მიიღო რეზოლიუცია, რომლის მიხედვით მოვალეები იყოფა ოთხ კატეგორიად: 1. საფრანგეთის ხაზინა იმ თანხებზე, რომელიც მიიღო საფრანგეთმა მათ ანგარიშში, 2. ბანკები, რომლებიც უშვებდენ რუსეთის სესხს, 3. სახელმწიფოები, რომლებიც შედიოდენ ყოფილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და ღებულობდენ სარგებელს რუსეთის სესხიდან საფრანგეთში და ბოლოს 4. საბჭოთა კავშირი.

## ლორდი კერზონი.



ეხლა ხან გარდაცვლილი ლორდი კერზონი შეურიგებელი მტერი იყო მუშათა-გლეხთა ხელისუფლების და ოქტომბრის რევოლიუციის. საბჭოთა საქართველოს მუშებს და გლეხებს კარგათ ახსოვთ მისი ცნობილი ულტიმატუმი, რომელით ის ფიქრობდა საბჭოთა კავშირის დაშინებას და რომლის მაგიერ სრულიად საწინააღმდეგო შედეგები მიიღო. ის თვალსაჩინო ბელადი იყო კონსერვატორულ პარტიის, რომელიც აფერხებს ინგლის-საბჭოთა კავშირის დაახლოვების საქმეს.

## „გერმანიის ჩეკას“ პროცესი.

სწარმოებს სკობელევსკის ბინის პატრონი ქალის სიძე—სოციალ—დემოკრატი—ტენცერის დაკითხვა.

ტენცერი ახასიათებს სკობელევსკის, როგორც მშვიდობიან კაცს, რომელზედაც არ შეგეძლო ეჭვი მიგეტანა თუ ის ტერორისტურ ორგანიზაციაში მონაწილეობდა. გარკვეულ პოლიტიკურ შეხედულებას სკობელევსკი არას დროს არ გამოსთქვამდა, მაგრამ, როგორც რუსი კმაყოფილებას გამოსთქვამდა საბჭოთა ხელისუფლებით.

## მსოფლიო მშრომელები ესარჩლებიან ამხ. ლანცუცკის.

### ინგლისის რემედასის კამპანია.

ინგლისის რემედასმა დაიწყო კამპანია ლანცუცკის დასაცავად.

ორგანიზაციამ გაუგზავნა დეპეშა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, იუსტიციის მინისტრს და საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს პერემიშლში მოთხოვნილებით—გადადებულ იქნას საქმე, რათა ინგლისის ვექილებმა შესძლონ მომზადება და მიუსწრონ სასამართლოს სხდომას.

დეპეშას ხელს აწერენ დეპუტატები ლინსბერი, ვეჯვუდი, მაქსტონი, საკლათვალა და ელენა ვილკინსონი.

## რემედასის დღე პარიზში·

კომუნის სახსოვრად გამართულ მიტინგზე პარიზში ილაპარაკეს კომპარტიის, შრომის უნიტარულ კომფედერაციის, რემედასის და პოლონეთის მუშათა წარმომადგენლებმა.

ორატორები სასტიკად ილაშქრებდენ პოლონეთის თეთრი ტერორისა და ლანცუცკის გასამართლების წინააღმდეგ.

მიტინგმა ერთხმად აირჩია დელეგაცია, რომელმაც უნდა გადასცეს პარიზში მყოფ პოლონეთის საელჩოს პროტესტი ლანცუცკის გასამართლების წინააღმდეგ.

## სამხედრო საქმე

### ტერიტორიალური ნაწილების ძირული და ცვალებადი შემადგენლობა.

ტერიტორიალური სისტემის მუდმივი ჯარის სისტემაზე უპირატესობა ისაა, რომ ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს შესაძლებელია სავსებით ჩამოაყალიბოთ ყოველგვარი ძალები სათანადო საბრძოლო—ადმინისტრატიულ-სამნეო ერთეულებში და ამ გვარათ სახელმწიფო ომის წინ დააყენოთ ხელსაყრელ პირობებში. ერთი სიტყვით ტერიტორიალური სისტემა მისი განუსაზღვრელი მოცულობის გამო საშვალებას იძლევა წინასწარ მოაწყოთ ყოველგვარი ცოცხალი ძალისა და მატერიალური საშვალებების გახმარება განსაზღვრულ კალაპოტში, რომ მისცეს მას ორგანიზაციული ხასიათი. მასიური, ანუ ხალხოსნური არმიის შექმნისათვის საკმარისი არ არის შეკრიბოთ მცხოვრებლები, მისცეთ მათ იარაღი და ასწავლოთ ცოტათ თუ ბევრათ. წყობილებით მოძრაობა. შეკრებილ ხალხის ლაშქრათ გადაქცევისათვის საჭიროა მოაწყოთ ის ისე, რომ მისი მოწყობილება სავსებით შეეფერებოდეს დღევანდელ ტეხნიკურ ბრძოლის საშვალებას ანუ იარაღს და სამხედრო ხელოვნების მდგომარეობას. ამასთან ერთად ამ მასას გაწვრთნა და სწავლება ესაჭიროება, რომ ბრძოლის პირობებში მისთვის ახალი არაფერი შეხვდეს, რომ ის წინასწარ გაცნობილი იქმნეს ყოველგვარ ბრძოლის საშვალებებსა და პირობებს.

ბოლოს ეს ჯარი სავსებით უზრუნველყოფილი უნდა იყვეს მომარაგების ყოველი სახით. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ კი რომ იარსებებს ერთგვარი სპეციალური მუდმივი აპარატი ან სამმართველო და მათში იმუშავებს სათანადოთ შეგნებული და შესწავლილი მოხელე სპეციალისტი ხსენებბული საქმისა.

სამხედრო სპეციალისტს შეუძლია თვალყური ადევნოს ყოველგვარი ტეხნიკური საშვალებების განვითარებასა და სამხედრო ხელოვნების შესწავლას.

ამ გვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ ტერიტორიალურ სისტემის დროსაც ერთგვარი მუდმივი რიცხვი სამხედრო მოსამსახურეებისა საჭიროა. მისი რაოდენობა საგრძნობლათ განისაზღვრება საზოგადოთ მუდმივი ჯარების რაოდენობიდან. მათ ევალებათ ცვალებადი შემადგენლობის მომზადება და აღზრდა.

ამ გვარათ უნდა მიღებული იქმნას, როგორც საფუძველი, რომ შეიარაღებულ ძალების მილიციონურ (ტერიტორიალურ) სისტემის დროსაც, დიდი უმრავლესობის მხოლოდ დროებით მოწვეულთა გარდა არსებობს ერთი მცირედი ნაწილი სამხედრო მოსამსახურებისა სპეცებისა, რომელთა მოვალეობას შეადგენს ჯარების მომზადება და წარმოადგენენ სახელმწიფო თავდაცვისათვის მოსამზადებელ ორგანოს.

განი.

## სენაკ-ზუგდიდის რკინის გზის დასრულება.

მოსკოვში მიღებულია დადგენილება უახლოეს დროში შეუდგენ შავი ზღვის რკინის გზის დასრულებას.

ამ გზამ უნდა შეაერთოს ახალ-სენაკი—ზუგდიდი, სოხუმი—ტუაპსე—ნოვოროსია.

### ამ ხაზის წარსულის ისტორია.

რკინის გზას ამ ხაზზე თავისი ისტორია აქვს; რუსეთის მონარქიული მთავრობა, ამ გზას დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ოსმალეთთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან ომის დროს, ეს გზა მისცემდა მას საშუალებას ამიერ-კავკასიაში მოეხთინა ჯარების ჩქარი გადაჯგუფება და ამ ჯარებისათვის მიეწოდებია სურსათი უახლოესი გზით. და სწორედ ჩვენ ვიცით ამ გზის გაყვანის გეგმის სისრულეში მოყვანა სწორედ მსოფლიო ომის დროს დაიწყო.

გზის გაყვანის საქმე გადაეცა კერძო სააქციო საზოგადოებას. შავი ზღვის ნაპირების მოსახლეობა დიდის იმედით შესცქეროდა გზის დასრულებას, ვინაიდან, თუმცა მთავრობა მას სტრატეგიულ მოსაზრებებით აშენებდა, მან იცოდა, რომ ეს გზა უდიდეს მნიშვნელობას ითამაშებდა ქვეყნის კულტურულ—ეკონომიურ აღორძინების საქმეშიც.

### რა სარგებლობა მოიტანა შიმშილობის დროს პატარა სენაკის შტომ.

1917 წლამდე წარმოებულ მუშაობის წყალობით ახალსენაკი—სოხუმის ხაზი თითქმის მზად იყო.

ლიანდაგი მზად და გამართული იყო, ენგურზე, კოდორზე და სხვა მდინარეებზე ხის ხიდები იყო გამართული. მოსახლეობა ჭარბად იძლეოდა სამუშაო ძალას.

მაგრამ 1917 წლის შემდეგ, მუშაობა შეჩერდა, აუარებელი სიმდიდრე გზისა განიავდა და დაიკარგა, ხიდები და ლიანდაგი მოუვლელობის გამო ჩაინგრენ. მენშევიკების დროს დაიწყო მოძრაობა ახალსენაკხეთის ხაზზე, რომლის მანძილი 21 ვერს უდრიდა.

მაგრამ შემდეგ ამ ხაზზე რონოდების მოძრაობა შეჩერებულ იქნა.

ამ უმნიშვნელო მანძილზე მოძრაობამაც დიდი გავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებაზე.

სიმშილობისა და სურსათის ნაკლებობის დროს სადგური ხეთა იყო ის ცენტრი, რომელიც სამეგრელოს მოსავლიან ადგილებიდან თავს უყრიდა სიმინდის ზედმეტ მოსავალს და შემდეგ ახალსენაკ—ხეთის რკინის გზის საშუალებით ანაწილებდა საქართველოს დამშეულ რაიონებში, განსაკუთრებით იმერეთში.

### ეს გზა ახლო მომავალში დასრულდება.

როგორც ცნობებიდან სჩანს მიღებულია მტკიცე გადაწყვეტილება მთელი ამ ხაზის დასრულების შესახებ უახლოეს დროში. უსაზღვროა და განუზომელია ის შედეგები, რომელიც მოყვება ამ გზის გაშენებას.

საქართველოს ეკონომიურ წარმატებისათვის დიდი როლი დაეკისრება შავი ზღვის ნაპირებს. ჩვენ ვიცით, რომ სწარმოებს სათანადო მუშაობა აღნიშნულ მხარეში ჩაის კულტურის გაფართოება—განვითარებისათვის, მისი იმ დონეზე აყვანისათვის, რომ მან სავსებით დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის მთელი მოთხოვნილება და თან საექსპორტო მასალადაც იქცეს.

ჩაის კულტურა სწორედ მოედება იმ რაიონს, სადაც შავი ზღვის რკინის გზა გაივლის—სამეგრელოს.

### რა შესაძლებლობების იმედებს იძლევა ეს გზა.

რკინის გზის გაყვანით ამ რაიონის საბედისწერო საკითხი—ამ რაიონში მდებარე ჭაობების ამოშრობის საკითხი დაჩქარებული იქნება და მეგრელი—გლეხები განთავისუფლდებიან დაუძინებელ მტერისაგან—მალარიისაგან.

თან მათ აუარებელი თავისუფალი მიწა შეეძინებათ. მეორეს მხრივ, შავი ზღვის ნაპირები მდიდარია ტყით. გზის უქონლობის გამო მისი დამუშავების საქმე ძალიან სუსტად დგას.

აქ დამუშავებული ხე-ტყის მასალა ადვილად და იაფად გადაიზიდება სომხეთში და აზერბეიჯანში, რომელნიც დიდ სივიწროვეს განიცდიან უტყეობის გამო. აგრეთვე დიდ გავლენას იქონიებს ამ შავი ზღვის ხაზის დასრულება მეთამბაქოობაზე სამურზაყანოსა და აფხაზეთში.

აფხაზეთის მეღვინეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ღვინოების სამხრეთ-რუსეთში გატანასთან. რკინის გზის გაყვანით სატრანსპორტო საშუალებათა დაბრკოლება გადალახულ იქნება და აფხაზებს აუარებელი ღვინო არ გაუფუჭდებათ.

### გზის მნიშვნელობა.

რასაკვირველია გარდა ეკონომიური მნიშვნელობისა, შავი ზღვის რკინის გზას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ეკისრება. საქართველოს დედაქალაქთან-ტფილისთან რკინის გზის ხაზით იქნება შეერთებული ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე ჩვენი რესპუბლიკისა—სამეგრელო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ამ რკინის გზის გაყვანა ჩვენში უმუშევრობის საკითხებსაც სავსებით მოსპობს და სოფლის მოსახლეობას ზედმეტ შემოსავლის წყაროს გაუხსნის. მოსახლეობა მიაწოდებს მას თავის სამუშაო ძალას, მიაწოდებს სურსათ-სანოვაგეს და სხვა.

როგორც სჩანს პირველ რიგში დასრულებული იქნება სენაკ-ზუგდიდის ხაზი და შემდეგ კი მა გააგრძელებენ.

სენაკ-ზუგდიდის რკინის გზის გაყვანა მორიგი გამარჯვება იქნება საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობისა და შრომის ფრონტზე.

მ.

# პარტიული ცხოვრება.

## ცხენოსანი ლეგ. მესამე კომუჯრედში.

17 მარტს შესდგა ცხენოსან ლეგიონის მესამე კომუჯრედის ღია კრება. მოსმენილი იქნა ამხ. ხაზალიას მოხსენება პარიზის კომუნის შესახებ, სადაც დაწვრილებით იქნა გაშუქებული კომუნის მნიშვნელობა, მისი ისტორია და შეცდომები. მოხსენებამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. ერთხმად გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინეთ რა მოხსენება პარიზის კომუნის მნიშვნელობის შესახებ, ცხენოსან ლეგიონის მესამე კომუჯრედის შემადგენლობა ვფიცავთ კომუნარების ხსოვნის წინაშე, რომ მათ მიერ დაწყებულ საკაცობრიო საქმეს და მათ ნაანდერძევ წითელ დროშას დავიცავთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის მებრძოლ კომპარტიას, გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას“.

რეზოლიუციას მხურვალე ტაშით შეეგება მთელი კრება.

სამხკორი **დ. ზეფრაშვილი.**

## მუშაობა გაჩაღდა.

პირველ ლეგიონთან დაარსებულია უნცროს მეთაურთა სკოლა, სადაც უკვე ჩამოყალიბდა კომუჯრედიც.

საერთოდ უჯრედში ირიცხება 40-დე პარტიის წევრები, კანდიდატები და ახკომკავშირის წევრები.

ამ უკანასკნელ დღეებში კი უჯრედში მოეწყო პარტიული მეცადინეობაც. კურსანტები დიდი ინტერესით ეკიდებიან ამ საქმეს. ყველას სურს, პოლიტიკურად განვითარება და სათანადო ცოდნით აღჭურვა. პარტმეცადინეობას ხელმძღვანელობენ ამხ. ცინცაძე და ხომერიკი, რომლებიც ენერგიულად ეკიდებიან თავიანთ საქმეს. დიდი ყურადღება ექცევა ამ მხრივ უპარტიო ამხანაგებსაც. ცალკე სამეცადინო დღეებათ დანიშნულია ხუთშაბათი და კვირა.

პირველი მეცადინეობა ჩატარებული იქნა ამხ. ცინცაძის ხელმძღვანელობით. ეს პირველი ნაბიჯი იმის აშკარა დამამტკიცებელია, რომ მეცადინეობა საფუძვლიანათ იწარმოებს.

პარტკორი **კოხრეიძე.**

## მეორე ასეულის კომუჯრედის ღია კრება.

20 მარტს მეთაურთა სკოლის მეორე ასეულში შესდგა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ ასეულის მთელი შემადგენლობა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები.

საკავშირო ცაკის მესამე სესიის მნიშვნელობა; პარტიაში გადარიცხვის შესახებ განცხადებების გარჩევა; და სხვა და სხვა სამუშაოზე მიმაგრებული ამხანაგების მოხსენებები თავიანთი მუშაობის შესახებ.

ცაკის სესიის შესახებ მომხსენებლებმა ნათლად გააშუქეს თუ რა მნიშვნელობა აქვს დღეს მესამე სესიის მოწვევას ქართველთა დედაქალაქში—სახელდობრ თბილისში. მომხსენებლები აღნიშნავენ აგრეთვე, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენს ყველა შინაურ და გარეშე მტრებს, ყველა საბჭოთა რუსეთთან შემავალ რესპუბლიკებზე რომლებიც ითვლებიან დღეს საბჭოთა კავშირის სრულ უფლებიან წევრებად.

მომხსენებლებმა ფართეთ გააცნეს კრებას აგრეთვე ამხ. ალინინის და რიკოვის მოხსენებები თავიანთი მუშაობის შესახებ.

ამასთანავე ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენებაც.

შემდეგ არჩეულ იქნა პარტიაში გადასარიცხ ამხანაგების განცხადებები.

გადაყვანილი იქნენ ერთხმად, პარტიის კანდიდატობიდან—პარტიის წევრებად სამი ამხანაგები კანდიდატად კი საკავშირის წევრები.

რადგანაც სესიის შესახებ მოხსენებებმა ძლიერ დიდი დრო წაიღო, კრებაზე შემოტანილი იქნა წინადადება, რათა ამხანაგების მოხსენება თავიანთი მუშაობის შესახებ, რომელიც ძლიერ საინტერესოა მოიხსნას და იქნას დასმული მორიგ კრებაზე.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული, რის შემდეგ კრება დაიხურა.

პარტკორი **შ. კერესელიძე.**

## ახკომკავშირელთა შორის.

**ჩვენი უჯრედის საქმიანობა.**

პირველი ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლაში არსებობს ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის ორგანიზაცია.

კრებები იმართება კვირაში ერთხელ პარტიულ უჯრედებთან ერთად, რომლებსაც სისტემატიურად ესწრებიან ამხანაგები ყველანი სცდილობენ რაც შეიძლება მეტი ინიციატივა გამოიჩინონ კავშირის ორგანიზაციაში მუშაობის დროს. დიდი მონდომებით ეწაფებიან კავშირის საქმიანობასა და მისი ისტორიის საფუძვლიანად შესწავლას.

ასეთივე გულმოდგინეთ ეკიდებიან სამხედრო საქმესაც. პოლიტიკური საათები სისტემატიურად ტარდება. თავისუფალ საათებში კურსანტები იმყოფებიან ლენინის კუთხეებში, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს.

თითქმის ყველა ამხანაგები ჩაწერილი არიან ლეგიონის სამკითხველოში. გამოაქვთ რევოლიუციონური შინაარსის წიგნები და კითხულობენ ერთად—კოლექტიურად. ასეთ მეცადინეობას ძლიერ დიდი ნაყოფი მოაქვს. სულ სკოლაში ირიცხება 30 კაცამდე ახკომკავშირელი. უპარტიო ამხანაგებში სათანადო მუშაობას ვაწარმოებთ, რის გამო ბევრი მოითხოვს კავშირის წევრებად მიღებას.

კურსანტი **ჩიტიაშვილი.**




## მოგვეცით წითელი კუთხის გამგე.

პირველი ლეგიონის 9-ე ასეულის არმიელების უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარები არიან. მათ არა აქვთ საშვალება თვალი ადევნონ და იკითხონ გაზეთები. დიდ სამსახურს უწევდა ასეულს ამ მხრივ წითელი კუთხის გამგე, რომელიც ამ ჟამად ჩვენთან აღარ არის. ეს ამხანაგი ყოველ საღამოობით აწყობდა კუთხეში საუბრებს და უკითხავდა ხმამაღლა გაზეთს. ამხანაგის ლეგიონის სკოლაში გადაყვანის გამო, ჩვენი წითელი კუთხე უპატრონოდ დარჩა. საჭიროა ჩქარა დაგვინიშნავდენ კუთხეში ენერგიულ გამგეს. წითელ არმიელები ვერ ურიგდებიან უმისობას.

სამხკორი **აკაკი ქარქაშაძე.**

## მოსპეთ ნაკლოვანებანი.

**სამზარეულოში კიდევ უსუფთაობაა.**

პირველი დივიზიის ცალკე მესანგრეთა ასეულის სამზარეულოში უსუფთაობას აქვს ადგილი. „ბორშჩი-“ს სუფთად დამზადებას არ ექცევა ყურადღება. 20 მარტს დილით, ჩემს ხვედრ ულუფაში აღმოჩნდა უზარმაზარი ჩახარშული „ტარაკანა.“ ამის შემდეგ სადილზე გული აღარავის მიუვიდა. ეს პირველი არ არის არა. ერთხელ და 10-ჯერ ჰქონია ასეთ მოვლენას ადგილი, მაგრამ მიუხედავად გაფრთხილებისა მაინც არ იღებენ ზომებს. ექიმსაც ვაჩვენეთ მაგრამ უყურადღებოთ დასტოვა. საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ უსუფთაობას.

წ. არმ. **გ. ხელაია.**

**პური ცუდი გვაძლევა.**

პირველი საარტილერიო ლეგიონი პურს ღებულობს ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის პურის საცხობიდან. პირველ ხანებში პური ძლიერ სუფთად ცხვებოდა, მაგრამ ამ დღეებში ისეთ პურს ვღებულობთ, რომ კაცს არ ეჭმევა. ხშირად ვნახულობთ შიგ ჯოხის ნაჭრებს და სხვა უსუფთაო საგნებს. ამასთანავე პური ხშირად ცუდი გამომცხვარია, რასაც შედეგად მოსდევს წ. არმიელების ავადმყოფობა. კარგი იქნება ჩქარა მიიღებდენ ამის წინააღმდეგ შესაფერ ზომებს, თორემ გამოუმცხვარი პური კარგს არას დაგვმართებს.

წ. არმ. **ჩ—ი.**

## მეტი ყურადღება სანიტარულ საათებს.

კარგა ხანია რაც საარტილერიო ლეგიონში დაიწყეს სისტემატიურად სანიტარული საათების ჩატარება, მაგრამ ისეთის მოდუნებული ტემპით მიდის ეს მეცადინეობა, რომ ვერაფრით ვერ დააინტერესეს წითელ არმიელთა შემადგენლობა.

ყველანი უსულ-გულოდ სხედან ამ საათის დროს და მხოლოდ გათავებას უცდიან.

რით აიხსნება წითელ არმიელთა ასეთი გულგრილობა ამ საათისადმი? ჩვენის აზრით მხოლოდ მით, რომ სანიტარულ საათებზე საბაასო თემები ვერ არიან სათანადოთ შერჩეული წითელ არმიელთათვის.

დღეს ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ ხოლერას იწვევს რაღაც უჩინარი ბაცილები (რომელთა სახელის ცოდნაც მაინცა და მაინც არ აინტერესებს წითელ არმიელებს), და ციება იცის ჭაობიან ადგილებში.

ჩვენი სანიტ-საათის თემები კი უმთავრესად ასეთი ხასიათის თემებით განისაზღვრება, მაშინ როდესაც სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ სქესობრივ ცხოვრებას, სხვა და სხვა დიდმნიშვნელოვან თემებს, როგორც მისი ჰიგიენას და სხვა. საჭიროა ჩვენი ექიმები შეარჩევდენ თემებს და გააშუქებდენ ასეთებს რაც შეიძლება პოპულიარულ ფორმებში.

სამხკორი **ლ—ო.**

## ჩვენი კოოპერაცია.

**ქართულ ლაშქრის მთლიან სამხედრო კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობის გამო.**

**(საუბარი გამგეობის თავ—რე ამხ. ილ. ებრალიძესთან.)**

28 მარტისათვის მოწვეულია ქართულ ლაშქრის სამხედრო კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა, სადაც ჩვენი გამგეობა თავის წლიურ მუშაობის შესახებ გააკეთებს ფართო მოხსენებას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი უთუოდ დაიბეჭდება გაზეთ „წითელ არმიელში“. ამიტომ, ვფიქრობთ აქ საჭირო იქნება, მხოლოდ, იმ განსაკუთრებულ პირობების და მოვლენების აღნიშვნა, რომელსაც ადგილი ქონდა უკანასკნელ წელში საერთოდ კოოპერატიულ და კერძოდ ჩვენს სამხედრო კოოპერატიულ ცხოვრებაში.

აღსანიშნავია, რომ მომავალ ყრილობაზე გამგეობა ფაქტიურად მოხსენებას აკეთებს გასულწლის 1 იანვრიდან-1 ოქტომბრამდე მოღვაწეობის შესახებ, რადგან ამიერიდან საბიუჯეტო სამეურნეო წელი სახელმწიფოსი იწყებოდა ოქტომბრიდან და სრულდება მეორე წლის ოქტომბრით. ამ რიგად უკანასკნელ თვეების შესახებ იქნება მხოლოდ საინფორმაციო მოხსენება, თუმცა ამ თვეების ბალანსიც იქნება გამოყვანილი.

მიუხედავად იმისა, რომ საომქალაქო კოოპერაცია საერთოდ და კერძოდ ჩვენი სამხედრო კოოპერატივი იჭერს ახალ პოზიციებს, არ შეიძლება ითქვას, რომ ის მტკიცე და ურყეველ ნიადაგზე იყოს, რასაც ცხადია, თავისი მიზეზები აქვს, რომელსაც გარდა ობიექტიურ და სუბიექტიურისა, სტიქიური მიზეზებიც დაერთო.

კოოპერაციაში პარტიულ ხაზის არახანგრძლივობა, ქნის ისეთ მდგომარეობას, რომ შეუძლებელია სწორ გეგმიანი ვაჭრობა, რაც საკმარისად ბორკავს კოოპერაციის მუშაობას.

კერძოდ ამხ. რიკოვის სიტყვის შემდეგ კოოპერაციის შესახებ გასულ წლის შემოდგომის, პროფკავშირთა ყრილობაზე—მოყვა ის, რომ სახელმწიფომ შეუმცირა კოოპერაციას ფინანსიური დახმარება. სესხის და ვალების შემცირებამ გამოიწვია საქონლის ბრუნვის შემცირებაც. ესეც რომ არა, ისედაც ამიერ—კავკასიის საქონლის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ტრესტები. ასანთი, შაქარი და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნების საჭიროება მხოლოდ 40 პრ. კმაყოფილდებოდა.

სავაჭრო და საწარმოო ოპერაციები ნორმალურად მიმდინარეობდა მხოლოდ ტფილისის განყოფილებაში, ამ შემთხვევაში მას ძლიერ ჩამორჩა ქუთაისი, რომელსაც სუსხიან და ხანგრძლივ ზამთრის გამო დიდი ხნით მოსწყდა სოფლები, რომლებიც უმთავრესი გამსაღებელი იყვნენ ჩვენი საქონლისა იქაური განყოფილების დღიურ ბრუნვიდან 4 ათას მანეთიდან ჩამოვიდა 100 თუ 200 მანეთამდე.

სტიქიურმა ზამთარმა აქაც დიდათ შეგვიშალა ხელი. ის ხე—ტყის მასალა, რომელიც დიდათ ესაჭიროებოდა სახერხ ქარხანას, გამოგზავნილი გასულ წლის ნოემბერში მხოლოდ ეხლა მივიღეთ მტკვარის ხანგრძლივად გაყინვის გამო.

ერთ—ერთ დიდ წარმატებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ სათანადოთ მოვაწყვეთ ბოგოს კისანის მამული სადაც ამ ჟამად გვყავს კარგი ჯიშის 78 სული ძროხა + და 25 ხბო.

ჩვენ ვაპირებთ შვეიცარულ ყველის წარმოების დაწყებას, მაგრამ ბაზარზე შვეიცარულ ყველის გასაღების შესახებ შექმნილ პირობების გამო, ეს საკითხი დროებით გადაიდო. აქვე ფართოდ მოვაწყვეთ მეფუტკრეობა. ამ რიგათ ახლო მომავალში რძის, ყველის თაფლის მოთხოვნილებას ჩვენი წევრებისას ჩვენივე ნაწარმოებით დავაკმაყოფილებთ.

X

## მესამე ლეგიონის მეთაურთა სკოლა.

დიდი ხანი არ არის რაც მესამე ლეგიონში დაარსდა უნცროს მეთაურთა სკოლა. ჯერ-ჯერობით ლეგიონში კურსანტების მცირე რიცხვია, მაგრამ ამ მოკლე ხანში ალბად სრულიად შეივსება.

სკოლაში მეცადინეობა უკვე დაიწყო და სისტემატიურ ხასიათს ატარებს. კურსანტების კვებას და ჩაცმას დიდი ყურადღება ექცევა. სკოლის სანიტარული პირობები საუცხოვოა. სამხედრო საქმის შესწავლას ენერგიულად ეკიდებიან ამხანაგები. დისციპლინის დაცვის შეგნება დიდია კურსანტებში.

ამ ჟამად მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე პოლიტ-მეცადინეობას. ხელმძღვანელები საკმაოდ მომზადებული ყავს სკოლას.

მნახველის ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სკოლის ლენინის კუთხე, რომელიც მდიდარია თავისი მორთულობით. აქვე არიან მოწყობილი, რემედასის და სამხედრო კუთხეები.

სკოლის საქმიანობა ამ თავითვე გეგმა შეწონილად და-

იწყო და იმედია, ის სულ მალე ჩააბარებს ლეგიონს შესაფერად მომზადებულ წითელი არმიელების აღმზრდელ—უნცროს მეთაურებს. ამის ნიშნები ამ თავითვე სჩანს.

პარტკორი ქკ-დუ.

# ახალი ამბები.

— მორიგი გამარჯვება აღმშენებლობის ფრონტზე. ზაჰესში უკვე დასრულდა მთავარი ჯებირის აგება.

— **მუშათა საბინაო აღმშენებლობის** დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ტფ. აღმასკომის წინაშე, რათა შემოღებულ იქნეს დარაბებზე 5 პროცენტიანი დამატებითი გადასახადი ქალაქში მუშათა ბინების აშენების საქმის გასაუმჯობესებლათ.

— **გაზაფხულის არდადეგები.** განათლების კომისარიატმა დაადგინა მიმდინარე წელს გააუქმოს ყველა საფეხურის სკოლებში გაზაფხულის არდადეგები.

— **შრომის დაცვის** განყოფილებამ წინადადება მისცა თამბაქოს ტრესტს მისპოს ბრინჯაოს ასოების წარწერა პაპიროსებზე, მისი მავნებლობის გამო.

— **მეხოსტნეობის** სამეგალითო მეურნეობის განვითარების მიზნით, მიწად. მოქ. კომისარიატმა მთელ საქართველოში მოაწყო 20 საჩვენებელი ბოსტანი.

— **ახალი საბინაო ამხანაგობა.** ტფილისში დაარსდა ახალი საბინაო სააღმშენებლო ამხანაგობა „კერა", რომელიც უკვე დაამტკიცა მთავრობამ.

— **უცოდინარობის ფრონტზე.** ტფ. აღმასკომის პოლიტგანათლების სკოლებში კურსი დაამთავრა 1351 წ. კ. უცოდინარმა.

— **წერა-კითხვის** უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმის გაუმჯობესების მიზნით 10-11 და 12 აპრილს ჩატარებულ იქნება ტფილისში სამღლეული.

# სამნეო დარგის საკითხები

**პროდუქტების დამზადების იჯარით გაცემის წესი და ხელშეკრულებათა დადება სამხედრო უწყების ინტერესების დაცვით.**

უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ სახელმწიფო მრეწველობას და კოოპერაციას კერძო მოვაჭრეთა წინაშე მიეცემა უპირატესობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი პირობები სამხედრო უწყების ორგანოებისთვის მისაღები და ხელსაყრელია.

სახელმწიფო ორგანოსთვის საერთო საზარალო პირობებში რაიმე დამზადების იჯარით გაცემა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სახელმწიფო ორგანო, და კოოპერაციაა, არასდროს არ იქნება მისაღები.

სამხედრო სამნეო ორგანოებს უნდა მუდამ ახსოვდეთ თავიანთი მოქმედება ბიუჯეტის ძალიან მჭიდრო ფარგლებში და არ ქონა რაიმე საბრუნაო თანხებისა, როგორც ეს უკანასკნელნი აქვთ სამნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციას. ამიტომ მათ უნდა მოათავსონ თავიანთი მოთხოვნილება არსებულ ფარგლებში და, რაიმე გარიგების დროს, არამც თუ არ უნდა შეასრულონ იგი მაგარ საბიუჯეტო ფასების ზევით, არამედ ყოველნაირად ეცადონ—რომ პროდუქტები დამზადებულ იქნას აღნიშნულ ფასებზე უფრო იაფად.

ერთი სიტყვით სამხედრო უწყების ინტერესები და მხოლოდ ეს უკანასკნელი უნდა იყოს პირველ რიგში.

**ფასად გაცემული პროდუქტების მოთხოვნილებათა წესი.**

არის ხოლმე იმ ნაირი შემთხვევები, როდესაც სასურსათო საწყობები ფასად გაცემულ თუთუნით კმაყოფის საგნებზე თხოულობენ ჩეკის მოთხოვნილებას, მაშინ როდესაც საჭიროა მხოლოდ სალაროს ქვითარი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი თუთუნის კმაყოფის ღირებულების სალაროში შეტანაზე კრედიტის § 12 მუხ. 1—ში ჩაწერვით. ეს ქვითარი წარედგინება მაღაზიას (საწყობს) ერთეულის ჩვეულებრივი მიწერილობით. თუთუნით კმაყოფის საგნების გაცემის გასასამართლებელ საბუთად რჩება მაღაზიაში სალაროს ქვითარი, რომლის მეორე გვერდზე მიმღები ხელს აწერს მიღებულ რაოდენობაზე.

**გამხმარ ბოსტნეულობის გამოყენებაზე.**

იმ მიზნით რომ ჯარის ნაწილებში შენახული გამხმარი ბოსტნეულობა გამოყენებულ იქმნას, საჭიროა:

1. ყოველ ერთეულში, სამხედრო სანიტარულ უწყების წარმომადგენელის თანადასწრებით შემდგარმა კომისიამ, გასინჯოს და შეამოწმოს სახეზე მყოფი ბოსტნეულობა და მისი ავკარგიანობის მიხედვით გადაარჩიოს ვარგისი ცალკე და უვარგისი ცალკე.

2. კომისიის მიერ ვარგისად ცნობილი მთელი გამხმარი ბოსტნეულობა გაიცეს კმაყოფად ორმაგი ნორმით, ე. ი. 60 მისხალ ნედლ ბოსტნეულობის მაგიერ 13,2 მისხ. გამხმარი.

3. გამხმარი ბოსტნეულობა —ცნობილი უვარგისად—განადღებული იქმნას თანახმად რესპ. სამხ. საბჭ. 1922 წ. № 2196 ბრძანებისა და სათანადო თანხა, ყველა გაწეულ ხარჯების დაფარვის შემდეგ, შეტანილ იქმნას სალაროში კრედიტის 12 §-ის 1—მუხლში ჩაწერით.

4. უვარგისი ბოსტნეულობის გაუნაღდებლობის შემთხვევაში, იგი უნდა მიეცეს საკვებათ წვრილ-ფეხა საქონელს.

5. განსხვავება ნედლი ბოსტნეულობის ღირებულებისა, ერთეულის კერძის სარჩოს ავანსიდან უნდა გადირიცხოს საძმო თანხაში შემდეგი ანგარიშით: 60 მისხალი ნედლი ბოსტნეულობა უდრის 13,2 მისხ. გამხმარ ბოსტნეულობას და 1 ფუთი ნედლი ბოსტნეულობის ღირებულებაა—80 კაპ.

6. მოხსენდეს არმიის მომარაგების სამმართველოს: 1. გამხმარ ბოსტნეულობის რაოდენობაზე, როგორც ვარგისზე საჭმელად, აგრეთვე უვარგის განაღდებულზე, თანახმად რევ. სამხ. საბჭ. 1922 წ. № 2196 ბრძანებისა, 2. იმ თანხებზე—რომელიც აღებულ იყო უვარგის ბოსტნეულობის რეალიზაციით და რომელიც გადარიცხულ იქნა საძმო თანხებში.

ს. შაკუ'ი.

# ამბები სოფლებიდან

**წყალდიდობასთან საბრძოლველად.**

გორის აღმასკომმა გამოყო წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია, რომელიც ჩაივლის მაზრას და დაათვალიერებს წყალდიდობის მოსალოდნელ რაიონებს.

**ელსადგურის აღსადგენად.**

დუშეთის აღმასკომმა გადასდო ადგილობრივ ელექტრო სადგურის აღსადგენად 793 მანეთი.

**ხიდი ლიახვზე.**

გორის აღმასკომმა გადასწყვიტა მდინარე ლიახვზე ტინის ხიდის პირდაპის ააგოს ახალი ხიდი.

**აღმასკომი ეხმარება გაჭირვებულებს.**

ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომი ყოველთვიურ მუდმივ დახმარებას აძლევს 170 გაჭირვებულს.

**საფონდო მარნები.**

თელავის აღმასკომმა დაადგინა მიჰყიდოს გლეხებს შეღავათიან პირობებში ის საფონდო მარნები, რომელთა გარეშემო მდებარე ვენახები უკვე დარიგებული აქვთ გლეხებს.

**მილიციის ტანისამოსი.**

დუშეთის აღმასკომმა გადასდო 6346 მანეთი ადგილობრივი მილიციის საჭიროებისათვის ტანისამოსის შესაძენათ.

**გზის შეკეთება.**

გორის აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს ბობნევის გზის შეკეთებას.

**საბინაო კრიზისთან ბრძოლა.**

ბინების ნაკლებობასთან ბრძოლის მიზნით დუშეთის აღმასკომმა გადასწყვიტა ახლათ შეკეთებულ ყაზარმაში გადაიტანოს საბავშო ბაღი და მოაწყოს იქვე მუშათა ბინები.

**კეთილ მოწყობის მიზნით.**

თელავის აღმასკომის დადგენილებით გადაწყვეტილია, ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით ქალაქის ბაღზე გაიყვანონ გზა და დაანგრიონ თელეთის ეკლესია.

**სოფლის გადასახლება.**

წყალდიდობისაგან მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად გადაწყვეტილია, სოფ. პანტიანის (გორის მაზრა) მცხოვრებთა გადასახლება არასაფრთხილო ადგილას.

**საბავშო ბაღი გორში.**

გორის აღმასკომმა გადასწყვიტა გორში გახსნას საბავშო ბაღი, სადაც მიიღებენ გლეხების ბავშებს.

**ხიდის გაკეთება.**

გორის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე მდ. ტანაზე ხიდის გასაკეთებლათ დახმარების გაწევის შესახებ.

**საექიმო დახმარება რაჭაში.**

ჯანსახკომმა გადასწყვიტა რაჭის მაზრაში გააფართოოს საექიმო დახმარების პუნქტების ქსელი.

# სამხედრო ტრიბუნალში

19 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა მე-4 მსროლელ ლეგიონის პარმენ ანტონის ძის აბუსერიძის საქმე. მას ბრალდებოდა დეზერტირობა, სახაზინო ნივთების გაფლანგვა და საყარაულო წესდების დარღვევა.

სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი:

ბრალდებული აბუსერიძე თანახმად ამავე ლეგიონისადმი ბრძანებისა ყოფილა მივლინებული წითელ დროშოვან არმიის მომარაგების უფროსის განკარგულებაში პურის ცხობის საქმის შესასწავლად. ნაწილიდან გამგზავრების დროს სადგურ გორიდან გაქცეულა და განაგრძობდა დეზერტირობას ორ თვეს, ა./წ. 20 ნოემბრამდე, მანამ არ იქნა შეპყრობილი და გადმოგზავნილი ნაწილში. ნაწილში მოსვლისას მას არ აღმოჩენია 1 მაზარა, რომელიც მას გაუყიდია ოზურგეთის გამსახლში. ა./წ. 17 იანვარს ყოფილა დანიშნული განწესებაში იარაღის საწყობზე. ხსენებული საგუშაგოდან თავისი ნებით მოხსნილა და წასულა ნაცნობ დოლაბერიძის სახლში, სადაც დაუყვია რამოდენიმე საათი, რის შემდეგ გამოცხადებულა საყარაულოში.

ბრალდებულმა იცნო თავი დამნაშავეთ წაყენებულ ყველა ბრალდებულებში.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას სასჯელთა შეერთების სახით თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით ერთი წლით და ექვსი თვით და აგრეთვე ქონების ნაწილის კონფისკაცია, სამოქალაქო უფლებების შეუზღუდველათ.

გნია.

# ახალი მეცნიერებასა და ტეხნიკაში

**ახალი დაკვირვება ელექტრონებზე.**

ყოველგვარი ნივთიერება შესდგება პატარა ნაწილაკებისაგან, რომლებსაც მოლეკულებს უწოდებენ. ეს მეტად მცირე ნაწილაკია. მისი შეუიარაღებელი თვილით დანახვა შეუძლებელია. მეორე მხრივ ეს მცირე მოლეკულა კიდევ განიყოფება უფრო მცირე ნაწილაკებად, მათ ეწოდებათ ატომები.

ამ უკანასკნელ ხანებამდე მეცნიერები ფიქრობდენ, რომ ატომი განუყოფელია, ე. ი. ის არ შესდგება კიდევ მცირე ნაწილაკებისაგანო. ამ ჟამად ეს შეხედულებაც უარყოფილი იქნა. მკაცრი მეცნიერული დაკვირვებებით და ცდებით დამტკიცებული იქნა, რომ ატომიც განიყოფება პაწია ნაწილაკებათ, რომლებსაც ელექტრონებას უწოდებენ.

იმ პაწია ნაწილაკების—ელექტრონების თვისებები თითქმის გამორკვეული იქნა მეცნიერების მიერ. ამ ჟამად ამერიკელ ფიზიკოსებს კიდევ აღმოუჩენიათ ერთი საკვირველება.

ამ ფიზიკოსებმა განაცხადეს, ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოების ყრილობაზე, თავიანთი ახალ ცდების შესახებ. მათ აუწყეს ყრილობას, რომ შესძლეს ამ სულ მცირე ნაწილაკების ელექტრონების ხმაურის მოსმენა.

ამ ხმაურის—ბგერის მოსა... მენად ხმარობენ ბგერების ათა... ჯერ—გამადიდებელს, რომლ... დროს საგრძნობლად დიდი ხმ... ური მოისმის.

იუწყებიან აგრეთვე, რო... ელექტროობის საყოველთა... ლაბორატორიაში, ბგერების გ... მაძლიერებელთა მოხმარებით... ფოლადზე ანდამატის მიახლო... ბის დროს, შესძლეს ფოლადშ... ატომების მოძრაობით გამო... ვეული ხმაურის მოსმენაც.

**მოტოციკლი—ამფიბია.**

თანამედროვე მოტოციკლე... ტები ხშირად ვერ სძლევენ ბ... ნებრივ დაბრკოლებებს, არ შ... უძლიათ მდინარის, ტბების ... სხვა გადალახვა. ამ დაბრკოლე... ბის თავიდან ასაცილებლა... ფრანგ კონსტრუქტორებმა ა... გეს მოტოციკლეტის განსაკუ... თრებული ტიპი—„ამფიბია"

ეს ტიპი მით განირჩევა ჩვ... ულებრივ მოტოციკლისაგა... რომ მას მიმაგრებული აქვს ნ... ვისებური მოყვანილობის „კ... რეტა". ეს ნავი დამზადებული ... ლითონის სიფრიფანა ფურც... ლებისაგან, რომელიც სურვ... ლისამებრ იკეცება და იშლებ...

ამნაირად ყოველ საჭიროე... ბის დროს მოტოციკლეტს ა... ვს ადვილად მოსახმარი ნავ... რომლის საშვალებითაც ის ად... ვილად გასცურავს მდინარე... და ტბებზე.

# წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო.

თქვენი გაზეთის № 61-ში მოთავსებულია ამხ. შონი... წერილი, რომელიც მიწვევს ამხ. სასამართლოში და იქა... ასახელებს იმ კითხვებს, რომელზედაც მე უნდა გავსცე პასუ... ხი.

ამის გამო გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მას... ვუპასუხო შემდეგი: დიდის სიამოვნებით მოგყვები... სასამართლოში, მხოლოდ, არც ერთ თქვენს მიერ და... სახელებულ კითხვებზედ არ გაგცემთ პასუხს. მე ავიღებ ... გაზეთს, რომელშიდაც არის მოთავსებული ჩემი პირველ... წერილი და ჩემს მოთხოვნილებებზე თქვენ თითონ გამეცი... პასუხი.

თქვენი მოთხოვნილების თანახმად მე ვნიშნავ ჩვენ... გასამართლებას 25 მარტს ჩვენივე ლეგიონის სამკითხველო... ში, საღამოს 6 საათზედ. მედიატორებს ვასახელებ ბიურ... კოლექტივის მდივანს ამხ. კვირაიას, სასადილოს გამგეობ... თავმჯდომარეს ამხ. ვაშაკიძეს და მეთაურ ამხ. მატახერიას.

თუ მოწმეები იქნებიან საჭირონი ყველა იმ მეთაურებ... რომლებიც მუდმივათ სვამენ ჩაის ჩვენს სასადილოში და აგ... რეთვე სადილობენ.

ბოკო.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძ...

# განცხადებები.

ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლა აცხადებს მო... ქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 22 მარტს დღით კვი... რას საათის 10-დან 15-მდე საჯარო ვაჭრობით იყიდება ერ... თი საჯდომი ცხენი. მსურველებს შეუძლიანთ მიიღონ მონა... წილეობა. მისამართი ავლაბარი, ყოფილი მინგრელსკის ყა... ზარმაში.

სკოლის ადიუტანტი.

**დაიკარგა** კომპარტიის მთლიანი საწევრო ბი... ლეთი №489020 გაცემული 1923 წ... ლს ბათომის საოლქო პარტკომიტეტიდან იპოლიტე აგვი... ტინეს ძე მითაიშვილის სახელზე, **ჩაითვალოს გაუქმ...** **ბულათ.**



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.